# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №58

2018 წ. "01" 09

ქ.თბილისი

**სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის შესახებ**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის $56^2$ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, $56^3$ მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (ს/კ: 245427337) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2 727-ით.
2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 სექტემბრის №11 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის შესახებ ცნობილი იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

**თავმჯდომარე**
დავით აფრასიძე

**მდივანი**
მაკა გველესიანი

*დანართი*

| № | პროგრამის დასახელება | სწავლების ენა | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით) | ECTS | ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის შესახებ | შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საზღვაო ნავიგაცია | ქართული | საზღვაოსნო მეცნიერების ბაკალავრი კვალიფიკაციის კოდი-1110 | 240 | აკრედიტებული | N 374 02.12.2011 |
| 2 | გემის მექანიკა | ქართული | ინჟინერის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში - 0419 | 240 | აკრედიტებული | N 375 02.12.2011 |
| 3 | გემის ელექტრომექანიკა | ქართული | ინჟინერის ბაკალავრი საზღვაო ელექტროინჟინერიაში - 0420 | 240 | აკრედიტებული | N 376 02.12.2011 |
| 4 | ნავსადგურებისა და ტერმინალების გადამტვირთავი აღჭურვილობის ექსპლუატაცია | ქართული | ინჟინერიის ბაკალავრი - 04 | 240 | აკრედიტებული | N 1 10.01.2014 |
| 5 | გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები | ქართული | საზღვაო ინჟინერიის მაგისტრი - 0419 | 120 | აკრედიტებული | N 42 28.03.2018 |
| 6 | საპორტო ოპერაციების მართვა | ქართული | საზღვაო ოპერაციების მაგისტრი-111001 | 120 | აკრედიტებული | N43 28.03.2018 |
| 7 | ეკონომიკა-ტრანსპორტის ეკონომიკა | ქართული | ეკონომიკის ბაკალავრი - 0701 | 240 | აკრედიტებული | N 63 26.07.2016 |
| 8 | ფინანსები-საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე | ქართული | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი02 | 240 | აკრედიტებული | N 64 26.07.2016 |
| 9 | ტურიზმი-საკრუიზო ტურიზმის მენეჯმენტი | ქართული | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში 02/1120 | 240 | აკრედიტებული | N 753 02.12.2012 |
| 10 | მენეჯმენტი-ნავსადგურის მენეჯმენტი | ქართული | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში - 0203 | 240 | აკრედიტებული | N 378 02.12.2011 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | მენეჯმენტი-საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და ლოჯისტიკა | ქართული | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში - 0203 | 240 | აკრედიტებული | N 377 02.12.2011 |
| 12 | საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტი | ქართული | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 02 | 120 | აკრედიტებული | N 55 03.08.2017 |
| 13 | საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი | ქართული | საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრი - 020307 | 120 | აკრედიტებული | N 40 28.03.201 |
| 14 | ლოჯისტიკა და ექსპედირება | ქართული | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი - 02 | 120 | ------- | N 113 28.07.2011 |